განკარგულება:**g-87.87212022**
თარიღი:**21/07/2021**

განკარგულება №22

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ავტოსატრანსპორტო საშუალების "FORD TranziT" სახ. ნომრით JJ387VV ა.(ა).ი.პ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყეპარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122--ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-4 და მე- 6 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 51-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების 54-ე, 56-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული, **ავტოსატრანსპორტო საშუალების "FORD TranziT" სახ. ნომრით JJ387VV ა.(ა).ი.პ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყეპარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი"-სთვის** პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემა:

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 05 სექტემბრის N32 განკარგულება - „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახურისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101).

თამარ ყეინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი